



ბიძინა სავანელი - საქართველოს მოქალაქე, სამართლის დოქტორი, პროფესორი - დაიბადა 24. 10. 1938 ქ. თბილისში მაღალი რეპუტაციის ადვოკატის ოჯახში. ბიძინა სავანელმა ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის კურსები. 1962 წელს დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია

საკავშირო კანონმდებლობის ინსტიტუტში და მას მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფ. ს. ბრატუსი). 1992 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მას მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის დოქტორის ხარისხი.

1975-1987 წლებში არჩეული იქნა ქ. რუსთავის სახალხო მოსამართლედ და თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად.

1990-2005 წლებში მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1999-2009 წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექტორად. 2009-2011 წლებში ლექციებს კითხულობდა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.

1995-1997 წლებში იყო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის ეროვნული ოფიცერი.

2003 წელს არჩეული იქნა ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ბიძინა სავანელი იყო საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1995).

ბოლო ინფორმაცია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მკვლევარი (2013-2016), ხმელთაშუა ზღვის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალის მთავარი რედაქტორი და მეცნიერ-კოორდინატორი, ხმელთაშუა ზღვის სოციალურ და საგანმანათლებლო კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი (რომი, იტალია, 2013-2017). ამჟამად უმუშევარი.

სალექციო თემატიკა: შესავალი სამართალმცოდნეობაში; სამართლის ზოგადი თეორია, იურიდიული მეთოდები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, სამართლის ფილოსოფია, კანონიკური სამართალი, შედარებითი სამართალი, საერთაშორისო სამართალი.

სახელმძღვანელოები (4):

1. სამართლის ზოგადი თეორია: ძირითადი პრინციპები, სამართლის სოციოლოგია, სამართლის ფილოსოფია; 5 გამოცემა, ბოლო გამოცემა "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009. (ბოლო გამოცემა მიემდვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის პროფ. თინათინ წერეთელის ხსოვნას).
2. სამართლის მეთოდები, 2 გამოცემა, გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2008.
3. საერთაშორისო სამართლის პრინციპები, გამომცემლობა "ფერადი ბეჭდვა", თბილისი, 2001
4. ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2000.

მონოგრაფიები (8):

1. საზოგადოებაში მოქალაქეთა მდგომარეობის სამართლებრივი ფორმები, "საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა", თბილისი, 1969.
2. მართლწესრიგი და იურიდიული პრაქტიკა, გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1981, რუსულად.
3. საერთაშორისო აქტები ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, კომენტარები, გამომცემლობა "იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი", თბილისი, 1997.

4. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უზენაესი ძალა: 21-ე საუკუნის სამართლის ფილოსოფია, გამომცემლობა "მერიდიანი", თბილისი, 2003, ინგლისურად.

5. რა არის დემოკრატია, გამომცემლობა "დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი", თბილისი, 2005.

6. აფხაზეთი: ისტორია და თანამედროვეობა, გამომცემლობა "პრეს ცენტრი", 2007, რუსულად.

7. გლობალური წესრიგი თუ გლობალური უწესრიგობა, ორი ტომი, „აკადემიური გამომცემლობა ლამბერტი“, ტ.1, 372 გვერდი (31 იანვარი, 2014) და ტ.2, 427 გვერდი (12 თებერვალი, 2014), საარბრუკენი, გერმანია, 2014, ინგლისურად.

8. ბუნებაში არსებული სინერჯისა და ჰომეოსტაზისის შემოქმედებითი გარდასახვა კაცობრიობის მშვიდობიან განვითარებაში, კატეგორია: ფიზიკა, ადამიანი, საზოგადოება, 340 გვერდი, რომი, იტალია, 2016 წელი, ინგლისურად.

სამეცნიერო სტატიები: 108.

რეცენზიები:

სახელმძღვანელოებზე - 5, მონოგრაფიებზე - 9: ავსტრალია, ავსტრია, საფრანგეთი, საქართველო, პოლონეთი, რუსეთი, აშშ.

შეფასება:

1. "ბიძინა სავანელი არის ავტორიტატი სამართლის ფილოსოფიაში და ადამიანის უფლებათა განათლების დამფუძნებელი საქართველოში. ამ დარგში მან გამოსცა პირველი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში: „ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი.“ ჟურნალი „განახლება“, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემია, მარტი, 2003, გვ. 14.

2. "ბატონო ბიძინა, მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენი საზოგადოებრივი და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებით. ქვეყანაში იურიდიული მეცნიერების განვითარებაში თქვენი წვლილი ძალიან მაღალია. რ. მაიკლ ქაუგილი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტი. N 126, 30. 04. 2015. www.gau.ge."

3. "უნივერსალური იმპაქტ ფაქტორი. სოციალურ მეცნიერებათა ხმელთაშუა ზღვის ჟურნალი 2030-2117. 0.28210, 2013 წელი. გილოცავთ თქვენს ექსტრაორდინალურ მიღწევას მეცნიერებაში. "უნივერსალური იმპაქტ ფაქტორის გუნდი.

4. „ყველა ზემოაღნიშნული იმას მიუთითებს, რომ სამართლის დოქტორი ბიძინა სავანელის სახით საქართველოს ჰყავს ლექტორი და მეცნიერი, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და ინსტიტუტის განყოფილების გამგე, სამართლის დოქტორი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე, თბილისი, 2017 წლის 09 ნოემბერი.

უცხო ენების ცოდნა:

ინგლისური და რუსული (სამეცნიერო) – ძალიან კარგი; ინგლისური და რუსული (სალაპარაკო) – კარგი; ფრანგული - საშუალო.

ფიზიკური მდგომარეობა:

მიახლოებული 65-70 წლებს.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0179, შატბერაშვილის ქ. 2., ბინა 2.

მობილური: 597 79 05 07 ან 597 05 79 17.

ელფოსტა: bidzinasavaneli266@gmail.com